ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4264521

ნომერი: AR1642200

თარიღი : 06.11.2018

გაცემის თარიღი : 19.11.2018

გაცნობის თარიღი : 20.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , I და II მ/რ-ს შორის მდებარე სავაჭრო ცენტრი; ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , პოლიკლინიკის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გლდანი-ნაძალადევის რაიონში გლდანის I და II მ/რ-ს შორის არსებული სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ჩხენკელი პ/ნ 01010003926
- ვაჟა-ფშაველას გამზ.

ორგანიზაცია:
- შპს ბი ემ ეს კოდი: 404895716

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, გლდანი , I და II მ/რ-ს შორის მდებარე სავაჭრო ცენტრი/ ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , პოლიკლინიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გლდანი-ნაძალადევის რაიონში გლდანის I და II მ/რ-ს შორის არსებული სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, შპს "ბიემეს"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან # 882017808687, 08/09/2017; ს.კ. # 01.11.12.013.040; საკადასტრო გეგმა; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, გლდანი , I და II მ/რ-ს შორის მდებარე სავაჭრო ცენტრი/ ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , პოლიკლინიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გლდანი-ნაძალადევის რაიონში გლდანის I და II მ/რ-ს შორის არსებული სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, შპს "ბიემეს"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს თქვენს საკუთრებაში არსებული # 01.11.12.013.040 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.